საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№ 669 2018 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 120-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 121-ე გრაფა:

„121	სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	50 ლარი; 75 ლარი; 100 ლარი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**